

# მონეტარული პოლიტიკა და ლართან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

გიგოლაშვილი მირიანი – პედაგოგი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

## Monetary Policy and Related to Lari

**Gigolashvili Miriani** – Invited Specialist, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

### Abstract

**Introduction and aim:** Proper monetary policy is of great importance for the Georgian banking system. Monetary impulses influence the joint demand. These schemes include transmissions mechanism channels. In economic theory, several such channels are allocated: the channel of interest rates; Currency Exchange Course Channel The welfare of wealth Wide lending channel; Narrow channel of lending; Monetary channel.

The currency exchange rate channel is the main element of the macroeconomic model of monetary policy in the open economy. It expresses the price sensitivity to the currency exchange rate.

The theme of the research is: Increase of Lari's disadvantages in the country, which will facilitate the strengthening of the Lari Course, increase the efficiency of the monetary policy.

**Research methodology:** In the process of analyzing the monetary basis of monetary policy, special attention should be paid to methods that enable adequate measures to detect and eradicate existing and potential problems in the banking system. In the view of this, we will take the correct economic policy, including the fiscal and monetary policy methods - the preliminary diagnostic mechanism, which implies the specificity of the examination in relation to achieving the successful results of monetary policy.

**Results and implications:** The main instrument of monetary policy (refinancing funds) is the National Bank's monetary credit policy. The monetary transmission mechanism should work properly to actively utilize the Lari's monetary market instruments and high loyalty to the Lari as a national currency.

**Conclusion:** From the data of the National Bank of Georgia, it exposes the volume of foreign currency resource volume in the interbank currency market in Georgia. In order to overcome this problem and increase the efficiency of the monetary policy, it is necessary to support the Lariization policy, which in turn reduces the level of financial (currency) risks in the country through the reduction of dollarization.

**Keywords:** monetary transaction monetary impulses, currency policy, dollarization; Lariization.

### აბსტრაქტი

**მესავალი და მიზანი:** საქართველოს საბანკო სისტემის სრულყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორ მონეტარულ პოლიტიკას. მონეტარული იმპულსები გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე. ეს სქემები თავისთავში მოიცავს ტრანსმისიის მექანიზმის არხებს. ეკონომიკურ თეორიაში გამოიყოფა რამდენიმე ასეთი არხი:

- საპროცენტო განაკვეთების არხი;
- ვალუტის გაცვლითი კურსის არხი;
- კეთილდღეობის (სიმდიდრის) არხი;
- დაკრედიტების ფართო არხი;
- დაკრედიტების ვიწრო არხი;
- მონეტარული არხი.

ვალუტის გაცვლითი კურსის არხი - ღია ეკონომიკაში მონეტარული პოლიტიკის მაკროეკონომიკური მოდელის მთავარ ელემენტს წარმოადგენს. იგი გამოხატავს ფასების დონის მგრძობილობას ვალუტის კურსის ცვლილებასთან მიმართებით.

თემის კვლევის მიზანია: ქვეყანაში ლარის გაუფასიურების აღმოჩენა, რომელიც ხელს შეუწყობს ლარის კურსის გამყარებას, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდას.

**კვლევის მეთოდოლოგია:** მონეტარული პოლიტიკის მეთოდური საფუძვლების ანალიზის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეთოდები, რომლებიც საბანკო სისტემაში არსებული და პოტენციური პრობლემების დროულად გამოვლენისა და მათ აღმოსაფხვრელად ადეკვატური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულის თვალსაზრისით, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მათ შორის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მეთოდებში გამოვყოფდით - წინასწარი დიაგნოსტიკის მექანიზმს, რომელიც გულისხმობს გამოკვლევის სპეციფიკას მონეტარული პოლიტიკის წარმატებული შედეგების მიღწევასთან მიმართებაში.

**შედეგები და გამოყენება:** ეროვნული ბანკის ფულად - საკრედიტო პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების სახსრების) განაკვეთი წარმოადგენს. მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმმა გამართულად რომ იმუშაოს აუცილებელია ლარის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების აქტიური გამოყენება და ლარის, როგორც ეროვნული ვალუტის მიმართ მაღალი ნდობის არსებობა.

**დასკვნა:** საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებიდან კარგად ჩანს თუ რამდენად აღემატება საქართველოში ბანკთაშორის ფულად ბაზარზე უცხოური ვალუტის რესურსის მოცულობა ეროვნული ვალუტით რესურსით მოცულობას. აღნიშნული პრობლემის გადალახვისა და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია ლარიზაციის პოლიტიკი ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ დოლარიზაციის შემცირების მეშვეობით შეამცირებს ფინანსურ (სავალუტო) რისკების დონესაც ქვეყანაში.

**საკვანძო სიტყვები:** მონეტარული ტრანსმისია, მონეტარული იმპულსები, სავალუტო პოლიტიკა, დოლარიზაცია, ლარიზაცია

მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმის სტრუქტურა შედგება იმ არხებისაგან, რომელთა მეშვეობითაც ცენტრალური ბანკების მონეტარული ინსტრუმენტების ამიქმედების შედეგად წარმოქმნილი იმპულსები გადაეცემა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. მონეტარული იმპულსები გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე. ეს სქემები თავისთავში მოიცავს ტრანსმისიის მექანიზმის არხებს. ეკონომიკურ თეორიაში გამოიყოფა რამდენიმე ასეთი არხი: საპროცენტო განაკვეთების არხი; ვალუტის გაცვლითი კურსის არხი; კეთილდღეობის (სიმდიდრის) არხი; დაკრედიტების ფართო არხი; დაკრედიტების ვიწრო არხი; მონეტარული არხი.

ჩამოთვლილი არხებიდან ჩვენ განვიხილავთ "ვალუტის გაცვლითი კურსის არხს " და შევეცებით დავაკავშიროთ იგი ლარის დღევანდელ მდგომარეობას.

კურსის არხი - ღია ეკონომიკაში მონეტარული პოლიტიკის მაკროეკონომიკური მოდელის მთავარ ელემენტს წარმოადგენს. ის ასახავს მონეტარული პოლიტიკისა და სავალუტო პოლიტიკის გავლენას ერთობლივ მოთხოვნასა და წარმოების მოცულობაზე გაცვლითო კურსის ცვლილების გავლენით. ანუ აღნიშნული არხი გამოხატავს ფასების დონის მგრძობელობას ვალუტის კურსის ცვლილებასთან მიმართებით.

ეროვნული ბანკის ფულად - საკრედიტო პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების სახსრების) განაკვეთი წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მონეტარული პოლიტიკის იმპულსები გადაეცემა ჯერ მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს, შემდეგ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს, საბოლოოდ კი ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვის ან სტიმულირების გზით გავლენას ახდენს ფასების საერთო დონეზე (ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითად სტრატეგიულ მიზანზე).

იმისათვის, რომ მონეტარული ტრანსმისიის მექანიზმმა გამართულად იმუშაოს აუცილებელია ლარის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების აქტიური გამოყენება და ლარის, როგორც ეროვნული ვალუტის მიმართ მაღალი ნდობის არსებობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებიდან კარგად ჩანს თუ რამდენად აღემატება საქართველოში ბანკთაშორის ფულად ბაზარზე უცხოური ვალუტის რესურსის მოცულობა ეროვნული ვალუტით რესურსით მოცულობას. ქვეყანაში არსებული დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი აფერხებს მონეტარული იმპულსების გადაცემას, რადგანაც რეფინანსირების სესხების (რომელიც ლარში გაიცემა) მეშვეობით მხოლოდ ლარში გაცემული მოკლევადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთზე ვახდენთ ზეგავლენას, რაც საერთო საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე სრულად ზემოქმედების საშუალებას არ იძლევა. აღნიშნული პრობლემის გადალახვის და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელია ლარიზაციის პოლიტიკის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ დოლარიზაციის შემცირების მეშვეობით შეამცირებს ფონანსური (სავალუტო) რისკების დონესაც ქვეყანაში.

ქვეყანაში ლარის გაუფასურების აღმოსაფხვრელად მთავრობა დგამს ქმედით ნაბუჯებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იპოთეკური კრედიტების სუბსიდირების იდეა. მთავრობა აპირებს ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან 65 მილიონი ლარი დახარჯოს. პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობს სხდომაზე განაცხადა, რომ ვისაც იპოთეკური სესხი 2015 წლის იანვრამდე დოლარში აქვს აღებული მთავრობა 20 თეთრიან სუბსიდიას გაუწევს.

"როგორც ერთჯერადი, სოციალური აქცია, მოხდება 2015 წლის პირველ იანვრამდე ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა, არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით. ერთ კლინტზე ერთ ბანკში 100 ათას ლარამდე ნარჩენი თანხის სუბსიდია, გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში. ამ სესხებზე გაუქმდება წინასაწარ დაფარვის საკომისიო. ეს გადაწყვეტილება საგრძნობლად შეამცირებს ე ნარჩენი თანხის სუბსიდია, გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტში. ამ სესხებზე გაუქმდება წინასაწარ დაფარვის საკომისიო. ეს გადაწყვეტილება საგრძნობლად შეამცირებს ზეწოლას ლარის კურსზე, 400 მილიონი დოლარის ყიდვა აღარ მოუწევთ ადამიანებს, ვინც არსებული სესხის გამო ყიდულობდა დოლარს," განაცხადა კვირიკაშვილმა.

ფინანსთა მინისტრის თქმით სესხების დოლარიდან ლარში გადატანა ლარის კურსის ხემეწყობისათვის ხდება და უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა 33 ათას მსესხებელს მოიცავს. აქედან 31 ათასს მსესხებელს მოიცავს სრულად, ხოლო 2000 მსესხებელს - ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაიფარება 2015 წლის 01 იანვრამდე ქონებით უზრუნველყოფილი სესხების 90%-ზე მეტი.

ქვეყანაში დოლარის მოთხოვნის ზრდაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები, ერთ-ერთი არის საგარეო ვალის გადახდა. 2016 წელს ქვეყანამ გადაიხადა დაახლოებით 4,7 - 4,8 მილიარდი დოლარის მოცულობის საგარეო ვალი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 34 % -ია. მართალია ვალის უმეტესი ნაწილი კერძო სექტორზე მოდის, მაგრამ ანალიტიკოსებმა ივნის - ივლისში ლარის გაუფასურება, სწორედ ამ პერიოდში, კერძო კომპანიების მიერ გასასტუმრებელ საგარეო ვალდებულებებს დაუკავშირეს.

საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი მთავარი იმედი - ექსპორტის ზრდა ოცნებად რჩება, ექსპორტი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ქვეყანაში უცხო ვალუტის შემოდინების. 2016 წლის შვიდი თვის მონაცემებით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგარეო ვაჭრობა 17%-ით არის გაზრდილი, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ ზრდის უმნიშვნელოვანესი მიზეზი წინა წლის ჩავარდნაა. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1,528 მილიარდი

აშშ დოლარით შემცირდა. ზემოთ არნიშნული 17%-იანი ზრდა სწორედ ამ ფონზე გამოჩნდა წინ-სვლად.

იმპორტის ზრდის მნიშვნელოვანი წილი მოდის ც ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაზე, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს და მკურნალობა უფასოა. სწორედ ც ჰეპატიტის საწინააღმდეგო მედიკამენტების შემოტანით არის იმპორტის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილი. სტატისტიკის სამსახურის ცნობით, ამ პროგრამისთვის განკუთვნილ მედიკამენტებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ წმინდა იმპორტი 3,869 მილიარდ დოლარამდე შემცირდებოდა. საბოლოო ჯამში უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4,304 მილიარდი დოლარია და საგარეო ვაჭრობის 66 %-ს შეადგენს.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებიდან ჩანს, რომ 2013 წლის შედეგ ექსპორტი სულ უფრო მცირდება და 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს უკვე იპორტიც შემცირებულია (იხ. ცხრილი N1)

ცხრილი N 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2007 წლიდან, მილიარდ აშშ დოლარებში.

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5609	6913	9259	10413	10433	11463	9935	6548
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1232	1495	1134	1677	2186	2377	2911	2861	2205	1122
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5212	6302	4476	5236	7072	8056	8023	8602	7730	5426
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3980	-4806	-3342	-3559	-4886	-5680	-5112	-5741	-5525	-4304
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1113	1326	990	1380	1693	1606	1812	1873	1637	898

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პრობლემის გადაჭრის, ექსპორტის გადიდების, უცხოური ვალუტის სემოდენიების საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელია განვითარდეს იმ პროდუქციების წარმოება და გატანა შემოტანის ნაცვლად, რომელიც ჩვენთან შეიძლება რომ იწარმოებოდეს. მაგალითად: თამბაქოს იმპორტისათვის საქართველდან ყოველწლიურად გაედინება 100 მილიონ დოლარზე მეტი, არადა აღმოსავლეთ საქართველოში კარგი პირობებია მისი საწარმოებლად, თამბაქო იწარმოებოდა აფხაზეთსა და აჭარაში, აქ წარმოებული თამბაქოს ხარისხი მსოფლიოში კარგად იყო ცნობილი. თამბაქოს წარმოებაში შეიძლება დასაქმდეთ ათეული ათასობით ადამიანი. იგივე შეიძლება ითქვას აბრეშუმის წარმოების და სხვა დარგების მიმართ.

საკითხისადმი გონივრული მიდგომით საქართველოს შეუძლია დასაქმების პრობლემაც გადაჭრას და გარკვეულ წილად ვალუტის დეფიციტაც აღმოფხვრას.

### გამოყენებული წყაროები:

1. რევაზ კაკულია, გედევან ხელაია " ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია" თბ. 2003
2. რევაზ კაკულია, კახაბერ გაბელაშვილი " ფინანსების თეორია " თბ. 2012
3. გიორგი ცაავა, იორგი ხანთაძე " საბანკო საქმე " თბ. 2014
4. პერიდული ჟურნალი " გადასახადები და აღრიცხვა"
5. პერიოდული ჟურნალი " აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები"